საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-933

24/06/2021

ქ. თბილისი

შპს „ჩენელ ენერჯის (ფოთი ლიმიტედ საქართველო)“ ფოთის ნავსადგურში შავი ნავთობპროდუქტებისა და ნედლის ნავთობის გადასატვირთი ტერმინალის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმატივების პროექტის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2021 წლის 28 მაისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ - საქართველოს“ დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2004 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ჩენელ ენერჯის (ფოთი ლიმიტედ საქართველო)“ ფოთის ნავსადგურში შავი ნავთობპროდუქტებისა და ნედლის ნავთობის გადასატვირთი ტერმინალის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმატივების პროექტზე გაიცა №32 (20.10.2004) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი ნებართვა, თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ - საქართველოს“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ჩენელ ენერჯის (ფოთი ლიმიტედ საქართველო)“ ფოთის ნავსადგურში შავი ნავთობპროდუქტებისა და ნედლის ნავთობის გადასატვირთი ტერმინალის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმატივების პროექტზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №32; 20.10.2004);

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს მომართა შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ - საქართველოს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ - საქართველოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი